საჯარო სამართლის იურიდიული პირი-

განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის ბრძანება № 609

03 08 2012 წ.

ქ. თბილისი

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების მიერ წარმოდგენილი სპეციალობის/სპეციალობების ჩამონათვლის საქართველოს მთავრობის მიერ დამტკიცებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამულ მიმართულებებთან შესაბამისობის თაობაზე თანხმობის გაცემის პირობების განსაზღვრის შესახებ

„უმღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლის პირველი პუნქტის „ი“ ქვეპუნქტის გათვალისწინებით, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 14 სექტემბრის №89/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დებულების“ მე-3 მუხლის „მ“ ქვეპუნქტისა და მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „კ“ ქვეპუნქტის საფუძველზე,

ვბრძანებ:

1. უმაღლესმა საგანმანათლებლო დაწესებულებებმა საქართველოს მთავრობის 2012 წლის 24 ივლისის №283 დადგენილებით დამტკიცებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამულ მიმართულებებთან (შემდგომში - მიმართულებები) შესაბამისობის თაობაზე თანხმობის მიღების მიზნით, სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრს (შემდგომში - ცენტრი) 2012 წლის 15 აგვისტოს ჩათვლით წარმოუდგინონ მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამული მიმართულებების ფარგლებში შემუშავებული სპეციალობის/სპეციალობების ჩამონათვალი (შემდგომში - სპეციალობის/სპეციალობების ჩამონათვალი) და მათი ანოტაციები.

2. ცენტრი განსაზღვრავს სპეციალობის/სპეციალობების ჩამონათვლის შესაბამისობას მიმართულებებთან და იღებს გადაწყვეტილებას სპეციალობის/სპეციალობების ჩამონათვლის მიმართულებებთან შესაბამისობის თაობაზე თანხმობის გაცემის ან თანხმობის გაცემაზე უარის თქმის შესახებ.

3. გადაწყვეტილება სპეციალობის/სპეციალობების ჩამონათვლის მიმართულებებთან შესაბამისობის თაობაზე თანხმობის გაცემის ან თანხმობის გაცემაზე უარის თქმის შესახებ გაფორმდეს ცენტრის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციული-სამართლებრივი აქტით.

4. დაევალოს ცენტრის საქმისწარმოებისა და საკადრო სამმართველოს ბრძანების დაინტერესებული პირებისათვის კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობისა და ცენტრის ვებგვერდზე განთავსების უზრუნველყოფა.

5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით დადგენილი წესით ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მის.: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ, №6).

დირექტორი შოთა ნიჟარაძე